საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

ნომერი: 1004/330/21

თარიღი: 04/10/2021

შპს "სოკარ პეტროლეუმ ჯორჯიას"

თქვენი, მიმდინარე წლის 20 სექტემბრის #0920/688/21 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქ.თბილისში, ქიზიყის ქუჩა#25-ში, ს.ს "თელასის" სატრანსფორმატორო ქვესადგურის #8704 გარე პერიმეტრზე გადასატანად მომზადებული პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ პროექტები განიხილა სს "თელასის" ტექნიკურმა სამსახურმა და შეგიძლიათ განახორციელოთ აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

1. სამუშაოების დაწყებამდე 5 სამუშაო დღით ადრე უნდა მოახდინოთ სს „თელასის" ტექნიკური სამსახურის (შესაბამისი საექსპლუატაციო რაიონის), ასევე შესაბამისი ბიზნეს-ცენტრის ინფორმირება სამუშაოს დაწყების და სავარაუდო დასრულების შესახებ;
2. სამუშაოები უნდა შეასრულოთ სს „თელასის" ტექნიკური სამსახურის ზედამხედველობის ქვეშ;
3. სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსრულებელს;
4. შემდგომი ექსპლუატაციისას, მესამე პირების მიერ მექანიკური დაზიანების და ს.ს. "თელასის" ქსელში ავარიული გამორთვების თავიდან ასაცილებლად მოახდინოს ახლად დამონტაჟებული ელექტრული ქსელის ხაზური ნაგებობის რეგისტრაცია. შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოადგინოს სს „თელასის" საკუთრების ურთიერთობათა რეგულირების სამსახურში.

დამატებით გაცნობებთ, რომ სამუშაოების შესრულება შეიძლება განხორციელდეს სს „თელასთან" ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ან შესაბამისი გამოცდილების მქონე გარე ორგანიზაციის მიერ. გარე ორგანიზაციის შერჩევის შემთხვევაში, ორგანიზაციის გამოცდილების და შესაბამისი სამუშაოების წარმოებაზე ლიცენზიის არსებობის შესახებ ინფორმაცია წინასწარ წარმოდგენილი უნდა იქნას სს „თელასში" შესათანხმებლად, ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას პერსონალის სია, ვინც აწარმოებს სამუშაოს შესაბამისი უსაფრთხოების ჯგუფის დამადასტურებელი დოკუმენტებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი დაშვება ქსელში ვერ მოხერხდება.

სააქციო საზოგადოება "თელასი"

პატივისცემით,

ტექნიკური დირექტორის მ.შ. ზვიად ვაშაკიძე

შემსრულებელი:

ზ. მაღალაშვილი

ტელეფონი: (032) 2779999-1-7850